



1780-04-2-2-202102190946



N 04-2/1780

19/02/2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ქალბატონ მაია ცეციტიშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

**ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სოციალურ ქსელში
მომხმარებელთა გაუმართლებელი დაბლოკვის პრაქტიკის აღმოფხვრის თაობაზე**

*შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო მაია,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,¹ შეისწავლა ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოწოდებული და სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებელთა „დაბლოკვის“ თაობაზე.

განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკავშირდება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სოციალურ ქსელში, რომელიც ამ უფლების განხორციელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მძლავრ საშუალებად ჩამოყალიბდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პლატფორმა ტექნოლოგიური განვითარების მონაპოვარია და განსხვავდება გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კლასიკური ინსტრუმენტებისგან, მასთან მიმართებით კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი პრინციპების გამოყენება, შესაძლოა, გარკვეულ

¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 12.

შემთხვევებში, სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. ბუნდოვანებას წარმოშობს ისიც, რომ ინტერნეტ სფეროში არსებული ურთიერთობები, უმეტესწილად, საკანონმდებლო მოწესრიგების მიღმა არის დატოვებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული ონლაინ სივრცეში მომხმარებელთა გამოხატვის თავისუფლების არამართლზომიერი შეზღუდვის რისკებს ქმნის არა მხოლოდ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის, არამედ სხვა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდანაც, რომლებიც საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის ამგვარ მედიუმს იყენებენ. შესაბამისად, იკვეთება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნის საჭიროება, რომელიც მათი მხრიდან სოციალური ქსელის მართვის ერთიან მიდგომას დაამკვიდრებს.

ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წინადადებების მომზადება, ასევე, პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება.² ამდენად, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, მოგმართოთ წინამდებარე წინადადებით³ და მოცემული მაგალითის საფუძველზე, მოგაწოდოთ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სოციალურ ქსელში გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

1. ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 25 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა ინფორმაცია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე (<https://www.facebook.com/TianetisMeria>), კორექტულობის ფარგლებში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირების გამო, პირთა „დაბლოკვის“ შესახებ. აღნიშნული პრობლემის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა აგრეთვე „ფეისბუქ“ გვერდზე - „ჭიაურა, თიანეთის რაიონი“.⁴

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებული განმარტების შესაბამისად, 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის 16 ივნისის პერიოდის ჩათვლით, მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებლების („ფეისბუქ ანგარიშების“) „დაბლოკვა“ განხორციელდა 18 შემთხვევაში პირადი შეურაცხმყოფელი კომენტარების დაწერის გამო.⁵ მიღებული კორესპონდენციით, უწყებას არ მოუწოდებია აღნიშნული კომენტარების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტოსურათები, რაც შეუძლებელს ხდის სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან მათი შინაარსის შეფასებას.

მიუხედავად აპარატის მოთხოვნისა, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ განუმარტავს სამართლებრივი საფუძველი, რომლის გათვალისწინებითაც განხორციელდა მომხმარებლების „დაბლოკვა“ სოციალურ ქსელში. თუმცა, უწყებამ მიუთითა აღნიშნული ქმედების მიზანზე, რაც მიღებული წერილის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) გათვალისწინებულ მორალისა და ღირსების დაცვაში გამოიხატება.

² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულება“, მუხლი 2, ნაწილი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

³ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2zAaBgP>> [ბოლოს ნანახია: 19.11.2020].

⁵ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 16 ივნისის №04/1559 წერილი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, რიგ შემთხვევაში, მსგავსი კომენტარების დატოვება ხორციელდებოდა ე.წ. „ყალბი“ ანგარიშების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც ვერ ხერხდებოდა პიროვნებების იდენტიფიცირება.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრის, აგრეთვე მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია,⁶ რაც მოიცავს სასურველი ფორმით და საშუალებით ინფორმაციის მიმოცვლას განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ პირთა ჯგუფთან.⁷ რამდენადაც თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება, ამგვარი მოწესრიგებით, კონსტიტუცია კრძალავს საზოგადოებისთვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც არადემოკრატიულ რეჟიმებს ახასიათებთ.⁸ მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით⁹ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.¹⁰

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტარების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით.¹¹

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.¹² მას განეკუთვნება, როგორც ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები, წიგნები, პოსტერები და ბანერები თუ სხვაგვარი ტრადიციული საშუალებები, აგრეთვე ელექტრონული და ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.¹³ საგულისხმოა, რომ ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა გამომხატველობითი საქმიანობა ამ უფლების განხორციელების უპრეცედენტო პლატფორმას ქმნის.¹⁴ ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი

⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „აღიქვანდრე მდინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II. 3.9.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II. 3.14.

⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

¹⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

¹¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3cxa2Sr>> [ბოლოს ნანახია: 19.11.2020]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2XOec35>> [ბოლოს ნანახია: 19.11.2020].

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სვერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.56.

¹³ იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Delfi AS v. Estonia*, პარ. 110.

ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.¹⁵

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ და „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.¹⁶

2.2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მომხმარებლების დაბლოკვის შედეგად

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული საქმის ფარგლებში, სადავო საკითხს წარმოადგენს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებლების „დაბლოკვა“. ამდენად, საკითხის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, მითითებული სოციალური ქსელის არსისა და დანიშნულების განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სოციალური ქსელი არის პლატფორმა, რომელიც გამიზნულია ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ.).¹⁷ თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „ანგარიში“ („პროფაილი“ ან „გვერდი“)), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისგან.¹⁸

სოციალური ქსელის ერთ-ერთი პლატფორმაა „ფეისბუქი“. ანგარიშის შექმნის შემდეგ, ის მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, მათ შორის, გაავრცელოს მოსაზრებები, ინფორმაცია ან/და სხვაგვარი მასალა (ე.წ. „პოსტები“) მასთან დამეგობრებულ პირებთან ან ყველა მომხმარებელთან, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, კომენტარი გააკეთოს ან უპასუხო სხვა მომხმარებლების მიერ გავრცელებულ შეტყობინებებს (ე.წ. „პოსტებს“), სასურველი „რეაქცია“ გამოხატოს მათთან დაკავშირებით და გააზიაროს ისინი საკუთარ ანგარიშზე.¹⁹ მომხმარებლის ყველა „პოსტი“ თავს იყრის მის „ქრონიკაში“, რაც ხილვადია მის მიერ განსაზღვრული პირებისთვის ან ყველა მომხმარებლისთვის, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ ზემოთ განხილული ფუნქციების გამოყენებით, მოახდინონ შესაბამისი ინტერაქცია.²⁰

როდესაც მომხმარებლები სხვა მომხმარებლის „პოსტის“ ქვეშ არსებულ სექციაში ტოვებენ კომენტარს, იქმნება „კომენტარების ჯაჭვი“, რომლის ნახვის შესაძლებლობა აქვს ყველა იმ ანგარიშის მფლობელს, რომლებსაც ამგვარ დაშვებას აძლევს შესაბამისი „პოსტის“ ავტორი. თითოეულ კომენტარების ჯაჭვში მოცემულია პირველადი კომენტარები და მათი პასუხები, რაც სხვადასხვა მომხმარებლებს შორის წარმართულ დიალოგს ასახავს. გასათვალისწინებელია, რომ

¹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48

¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

¹⁸ იქვე.

¹⁹ *Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump*, ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, 928 F.3d 226, 230-231.

²⁰ იქვე.

„პოსტის“ ქვეშ არსებულ კომენტარების სექციაში შესაძლებელია სხვა მომხმარებლის მოხსენიება, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი იღებს შესაბამის შეტყობინებას და სურვილის შემთხვევაში, ეძლევა მიმდინარე განხილვაში ჩართვის საშუალება.²¹

„ფეისბუქი“ სოციალური მედიის ყველაზე გამოყენებად და აქტიურ სახეს წარმოადგენს.²² იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში აღნიშნული ქსელი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მისი მომხმარებლის მაჩვენებელი მაღალია, პლატფორმა აქტიურად გამოიყენება, მათ შორის, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის, მასთან დაკავშირებით მოსაზრებების დაფიქსირებისა თუ დისკუსიის გამართვის მიზნით, რაც სრულად არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით. სოციალური ქსელის ამ თვისებების გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოები კონკრეტული მომხმარებლის მიერ შეტყობინებებისა თუ კომენტარის გამოქვეყნებას ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად,²³ ხოლო თავად პლატფორმას საზოგადოებრივ სივრცედ აფასებენ.²⁴ მისი მახასიათებლების გათვალისწინებით, „ფეისბუქს“ აქტიურად იყენებენ აგრეთვე საჯარო დაწესებულებები და თანამდებობის პირები საზოგადოებასთან სათანადო ურთიერთობის დასამყარებლად, რაც ხელს უწყობს მათ ანგარიშვალდებულებასა და საქმიანობის გამჭვირვალობას.²⁵

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ფეისბუქი“ მომხმარებლებს ანიჭებს შესაძლებლობას, მოახდინოს სხვა მომხმარებლის „დაბლოკვა“, რის შედეგადაც, ამ უკანასკნელს ეკრძალება მის პოსტებზე კომენტარის დატოვება, რეაქციის გამოხატვა ან სხვაგვარი ფორმით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და ამდენად, ეზღუდება გამოხატვის თავისუფლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებლების „დაბლოკვის“ შედეგად, ადგილი აქვს მათი გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.

2.3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტი

გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

²⁶ უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის²⁷ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის²⁸ თანახმად.

²¹ იქვე.

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის №ბს-568(გ-19) განჩინება.

²⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

²⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად,

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია აგრეთვე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში.²⁹

2.3.1. რამდენად გამართლებულია მომხმარებლების დაბლოკვის გზით მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

დათქმა, რომ ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, მოითხოვს, სადავო შეზღუდვა გამომდინარეობდეს ეროვნული კანონმდებლობიდან, რაც, თავის მხრივ, კონკრეტულ ხარისხობრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.³⁰ ერთი მხრივ, ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მის მიმართ გამოსაყენებელი კანონი, ამასთან, თავად შემზღუდავი ნორმა საკმარისი სიცხადით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მისცეს მას შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში, განჭვრიტოს კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი.³¹

საქართველოში, ინტერნეტ სივრცეში არსებული ურთიერთობები სპეციალური კანონით არ რეგულირდება და აღნიშნული სფეროს მოსაწესრიგებლად გამოიყენება ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო აქტები, როგორებიცაა, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. თუმცა, ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების განხორციელების კუთხით, გარკვეულ შეზღუდვებს ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. აღნიშნული რეგლამენტი კრძალავს ინტერნეტ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის³² განთავსებას და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გარკვეულ ღონისძიებების გატარებას აკისრებს³³ მომსახურების მიმწოდებელს,³⁴ ინტერნეტგვერდის მფლობელს³⁵ და ინტერნეტდომენის გამცემს.³⁶

საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

²⁸ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

²⁹ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *VgT Verein Gegen Tierfabriken v. Switzerland*, პარ. 52.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ. 7; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *the Sunday Times v. The United Kingdom*, პარ. 49.

³² ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

³³ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 10¹, მუხლი 10² და მუხლი 10³. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ცალკეულ

აღსანიშნავია, რომ დაუშვებელი პროდუქციის ცალკეული სახეების გავრცელების საპასუხოდ ზემოხსენებული რეგლამენტის საფუძველზე, ინტერნეტდომენის გამცემისთვის და მომსახურების მიწოდებლისთვის დაკისრებული ღონისძიებები (შესაბამისად, ინტერნეტგვერდის დაბლოკვა და სათანადო ზომების მიღება დაუშვებელი პროდუქციის გავრცელების აღმოსაფხვრელად)³⁷ გასულ წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული მოწესრიგებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებას (რაც გულისხმობს აზრის/ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას მისი შინაარსის გამო) ახდენდა მაშინ, როდესაც კანონმდებლობის საფუძველზე, ის არ იყო აღჭურვილი ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული გამოხატვის შეზღუდვის უფლებამოსილებით.³⁸

ამდენად, ეროვნული კანონმდებლობა არ ქმნის პირდაპირ შესაძლებლობას, ინტერნეტში გამოთქმული მოსაზრებების გამო, უწყებამ კონკრეტულ პირს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუზღუდოს წვდომა სოციალური ქსელის კონკრეტული ფუნქციების გამოყენებაზე და შედეგად, აუკრძალოს ხსენებულ პლატფორმაზე სხვადასხვა ფორმით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება.

მიუხედავად ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „ფეისბუქი“ წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ ინტერნეტგვერდს, რომელიც საკუთარ მომხმარებლებს, შესაბამისი ფუნქციების შეთავაზებით, თავად ანიჭებს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისამებრ მართონ პირადი ანგარიშები და მათ შორის, მოახდინონ სხვა მომხმარებლების „დაბლოკვა“. რამდენადაც აღნიშნული მახასიათებლები განუყოფელია ხსენებული პლატფორმისთვის, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ რამდენად მართებულია, მისი ზოგიერთი მომხმარებელი შეზღუდული იყოს გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო სტანდარტით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს სოციალური ქსელის გამოყენების მანერა და მიზანი.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ შესაბამისად, მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას და საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციისა და რელევანტური ეროვნული თუ საერთაშორისო

შემთხვევებში, მსგავს ღონისძიებებს შეიძლება წარმოადგენდეს მომხმარებლის გაუქმება ან განკავშირება და შესაბამისი ზომების მიღება დაუშვებელი პროდუქციის გავრცელების აღმოსაფხვრელად (მათ შორის, პროდუქციის ამოღება).

³⁴ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას.

³⁵ პირი, რომლის სახელზეცაა რეგისტრირებული ინტერნეტგვერდი (საერთო კომპიუტერული ქსელის ჰიპერტექსტური რესურსი დაწერილი HTML/XHTML ენაზე ან სხვა ვებრესურსების ორგანიზების მეთოდით, რომელიც შედგება თემატურად დაკავშირებული ინტერნეტგვერდებისა და გამოსახულებებისაგან).

³⁶ ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილია გასცეს და დაარეგისტროს ინტერნეტდომენი (ინტერნეტსახელი, რომელიც ეკუთვნის ერთადერთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს და ახდენს მის იდენტიფიცირებას და განსხვავებას სხვათაგან).

³⁷ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მე-10³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II. პარ. 51.

სამართლებრივი აქტების საფუძველზე.³⁹ მერიას გააჩნია სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ის კონკრეტული მიმართულებებით ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.⁴⁰

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებით, სოციალური ქსელების მართვაზე პასუხისმგებელია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.⁴¹ აღნიშნული სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება, მათ შორის, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირება და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

42

ამდენად, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია სწორედ ადმინისტრაციული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით უზრუნველყოფს „ფეისბუქის“ გვერდის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირებას მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ სოციალური ქსელის გვერდის მართვა წარმოადგენს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრულ მერიის საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.⁴³

თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ ორგანო ვალდებულია, საკუთარი უფლებამოსილება კანონის საფუძველზე განხორციელოს.⁴⁴ აღნიშნული გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.⁴⁵

ამდენად, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოციალური ქსელის მართვა წარმოადგენს უწყების მხრიდან ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას, რაც მას განასხვავებს კერძო პირის მხრიდან პირადი მოხმარების მიზნით, პლატფორმის გამოყენებისგან.

სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდი ღიაა ყველა მომხმარებლისთვის. ღიაა აგრეთვე აღნიშნულ გვერდზე განთავსებული „პოსტები“ და მათ ქვეშ არსებული კომენტარების სექცია, რაც ყველა მომხმარებელს ანიჭებს შესაძლებლობას, საკუთარი ანგარიშის გამოყენებით, დააფიქსირონ მოსაზრება, ჩაერთონ კონკრეტული საკითხის განხილვასა თუ მასთან დაკავშირებულ დებატებში და მოითხოვონ უწყებისგან დამატებითი განმარტებები.

³⁹ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, მუხლი 1, ნაწილი 1 და მუხლი 2, ნაწილი 1.

⁴⁰ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, თავი III.

⁴¹ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 16 ივნისის №04/1559 წერილი.

⁴² თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, მუხლი 11, ნაწილი 1; თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №20 დადგენილებით დამტკიცებული „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, მუხლი 3.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის №ბს-568(გ-19) განჩინება.

⁴⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 5.

⁴⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 5, ნაწილი 2.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა გამოხატვის თავისუფლების საკმაოდ მაღალ სტანდარტს ადგენს, რაც, რიგ შემთხვევებში, ამ უფლების დაცვის ამერიკულ მოდელთან არის თანხვედრაში. აღნიშნული გამოიხატება, მაგალითად, იმ გარემოებაში, რომ საჯარო სივრცეში გავრცელებული გამონათქვამებისთვის ორივე ქვეყნის მოდელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ან/და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამოწვევას.⁴⁶ შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის განხილვის მიზნებისთვის, რელევანტურია ყურადღების გამახვილება ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ დადგენილ სტანდარტზე, რომელიც შეეხება სოციალურ ქსელებში სახელისუფლებო ანგარიშებიდან მომხმარებლების „დაბლოკვას“ და შედეგად, მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლომ საქმეში *Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump*⁴⁷ განიხილა შეერთებული შტატების პრეზიდენტის მხრიდან პირადი სოციალური ქსელის („ტვიტერის“) ანგარიშიდან მომხმარებელთა „დაბლოკვა“ მის „პოსტებზე“ კრიტიკული კომენტარების დაფიქსირების გამო, რის შედეგადაც, მათ შეეზღუდათ შესაძლებლობა, პირდაპირ ეპასუხათ შესაბამისი „პოსტისთვის“ ან/და ჩართულიყვნენ მის თანმხლებ კომენტარების ჯაჭვში. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პრეზიდენტი შესაბამისი ანგარიშის მართვისას მოქმედებდა სახელისუფლებო უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენადაც სოციალურ ქსელს იყენებდა საკუთარი მმართველობის შესახებ საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინტერაქციის საშუალებად. ამავდროულად, რადგან პრეზიდენტის მიერ კონტროლირებადი ანგარიში ღია იყო ყველა მომხმარებლისთვის და აძლევდა მათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობას, სასამართლომ განმარტა, რომ ის უტოლდებოდა საჯარო სივრცეს, რომლიდანაც დაუშვებელი იყო, ხელისუფლების წარმომადგენელს („დაბლოკვის“ გზით) გარკვეული პირები გამოერიცხა კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირების გამო. მსგავსად, ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ოლქის სააპელაციო სასამართლომ საქმეში *Davison v. Randall*,⁴⁸ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია ზედამხედველთა საბჭოს თავმჯდომარის ღია „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებლისთვის კომენტარების განთავსების შესაძლებლობის ჩამორთმევა.

ამერიკული დოქტრინის შესაბამისად, საჯარო სივრცე წარმოადგენს იმგვარ სივრცეს, რომლის დანიშნულებაც თანხვედრაშია გამომხატველობით საქმიანობასთან და ისტორიულად, ამ მიზნით გამოიყენება (მაგ. ქუჩები, ტროტუარები და პარკები) ან ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის

⁴⁶ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Brandenburg v. Ohio* (1969) დაადგინა ტესტი, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერად გამოწვევას და არსებობს ამგვარი ქმედების განხორციელების მაღალი ალბათობა.

იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹-ე მუხლი, აგრეთვე, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი. ამ თვალსაზრისით, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება არა ნებისმიერი სახის შეურაცხყოფას, არამედ პირისპირ შეურაცხყოფას. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება, რომლის თანახმადაც, სოციალურ ქსელში უხამსი/შეურაცხყოფელი შინაარსის გამონათქვამების გავრცელება არ იქნა მიჩნეული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებულ ქმედებად, სწორედ იმ საფუძველით, რომ აღნიშნული გამოხატვა არ ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამოწვევას.

⁴⁷ *Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump*, ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, 928 F.3d 226, 230.

⁴⁸ *Davison v. Randall*, ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, 912 F.3d 666.

თუ მისი ნაწილისთვის განგებ არის გახსნილი ამგვარი დანიშნულებით გამოყენებისთვის.⁴⁹ სწორედ აღნიშნული მახასიათებელი განასხვავებს საჯარო სივრცეს კიდევ უფრო ფართო - ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი სივრცისგან/თავშეყრის ადგილისგან, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლო სოციალურ ქსელის ჯგუფს მიაკუთვნებს.⁵⁰

გასათვალისწინებელია, რომ სოციალური ქსელი ტექნოლოგიური განვითარების მონაპოვარია და შედარებით ახალ ინტერაქციულ პლატფორმას წარმოადგენს, რომლის მიმართაც ტრადიციული კონსტიტუციური სტანდარტების მისადაგება, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, პრობლემური იყოს. მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი პრინციპები არ იცვლება, როდესაც კომუნიკაციის განსხვავებული შესაძლებლობები ჩნდება.⁵¹ თავის მხრივ, ინტერნეტში მომხმარებელთა გამომხატველობითი საქმიანობა გამოხატვის თავისუფლების უპრეცედენტო პლატფორმას ქმნის⁵² და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სივრცეს შეხედულებათა გაცვლისთვის,⁵³ რაც მომხმარებლების უფლებების დაცვის მომეტებულ ინტერესს წარმოშობს და ამართლებს მის მიმართ საჯარო სივრცის დოქტრინის გავრცელებას.

გასათვალისწინებელია, რომ სივრცის მსგავსი დაყოფა რელევანტურია ქართული მოწესრიგებისთვისაც, რომელიც ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომ საჯარო სივრცეებში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის მნიშვნელოვან გარანტიებს ადგენს, განსხვავებით ყველა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილისა, რომელშიც აღნიშნული უფლების განხორციელება, შესაძლოა, კერძო მესაკუთრის ნებას დაექვემდებაროს. ამასთან, აღნიშნული მიდგომის ქართულ რეალობაში ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოსთვის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ონლაინ სივრცეში.

თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის წინაპირობის არსებობის შეფასებისთვის, თუნდაც საჯარო სივრცეში, მნიშვნელოვანია, შეფასდეს შეზღუდვის „აუცილებლობა“ დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი ინტენსივობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „აუცილებლობის“ ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობასთან. ამგვარი საჭიროების არსებობის შეფასებისას, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული მიხედულების ფარგლებით, რაც არ არის შეუზღუდავი და მის საფუძველზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი ტესტით ფასდება.⁵⁴ გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო მიხედულების ფარგლები სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადავო გამოხატვის ტიპი.

⁴⁹ Davison v. Randall, ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, 912 F.3d 666, 687.

⁵⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

⁵¹ Knight First Amendment Inst. at Columbia Univ. v. Trump, ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, 928 F.3d 226, 230, 252.

⁵² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Delfi AS v. Estonia*, პარ. 110.

⁵³ Davison v. Randall, ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, 912 F.3d 666, 688.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis Ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონვენცია შეზღუდვების დაწესების მეტად მცირე სივრცეს ტოვებს გამომხატვაზე, რომელიც პოლიტიკური შინაარსისაა ან საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს შეეხება.⁵⁵ ამავდროულად, ფართო ხელისუფლების დასაშვები კრიტიკის ფარგლები.⁵⁶ აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ დემოკრატიულ სისტემაში ხელისუფლების ქმედებები უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ საკანონმდებლო და სასამართლო, არამედ საზოგადოებრივი აზრის მხრიდან განსჯას.⁵⁷ შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შემწყნარებლობა უნდა გამოიჩინოს კრიტიკის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის პროვოკაციულად ან შეურაცხმყოფლად აღიქმება.⁵⁸

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.⁵⁹ ამდენად, ბუნებრივია, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა (მერიის) და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის (მერიის) საქმიანობა და მასთან დაკავშირებული სიახლეები საჯარო ინტერესის სფეროში ექცევა. მსგავს ხასიათს ატარებს აგრეთვე აღნიშნულის თაობაზე სოციალური ქსელის მომხმარებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები/პოზიციები. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მერი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირია,⁶⁰ რაც მასთან დაკავშირებულ გამოხატვას დაცულობის განსაკუთრებულ ხარისხს სძენს.

მოცემულ შემთხვევაში, სახალხო დამცველი, მიღებული ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებისა და შესაბამისი მტკიცებულებების არქონის პირობებში, მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს იმ კომენტარების შინაარსი, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე მომხმარებლების „დაბლოკვა“. ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია იმ საკითხების შეფასებაც, რამდენად იყვნენ ისინი დაცულნი გამოხატვის თავისუფლებით, დაკავშირებულნი იყვნენ თუ არა ხსენებული კომენტარები საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებთან და ექცეოდნენ თუ არა დასაშვები კრიტიკის საზღვრებში. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც უწყება სოციალური ქსელის მართვისას, არ ხელმძღვანელობს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების ამსახველი დოკუმენტით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არ ახდენს უფლებაში ჩარევის მართლზომიერების სიღრმისეულ დასაბუთებას, იქმნება „ფეისბუქზე“ კრიტიკული შინაარსის გამოხატვის არათანაბარზომიერი შეზღუდვის საფრთე, რაც არ აკმაყოფილებს „აუცილებლობის“ მოთხოვნებს.

მსგავსი დასკვნის მართებულობას გარკვეულწილად ამყარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სახელმწიფო უწყების „ფეისბუქ“ ანგარიშიდან მომხმარებლის „დაბლოკვისა“ და შედეგად მისი უფლებაშეზღუდვის საქმეზე, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას,

⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary* პარ. 159.

⁵⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ceylan v. Turkey*, პარ. 34.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Özgür Gündem v. Turkey*, პარ. 60.

⁵⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1.

⁶⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ი“ ქვეპუნქტი.

განვითარებული მსჯელობა.⁶¹ კერძოდ, ამ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდების მართვა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საჯარო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ხოლო მსგავს პლატფორმებზე მოქალაქეთა „დაბლოკვა“ პოტენციურად საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „დაბლოკვა“ გულისხმობს არა სადავო კომენტარის ამოშლას მხოლოდ კონკრეტული „პოსტის“ ქვეშ არსებული კომენტარების ჯაჭვიდან, არამედ მისი ავტორის (მომხმარებლის) გამორიცხვას უწყების „ფეისბუქ“ გვერდზე მიმდინარე ყველა სხვა ღია ონლაინ დიალოგიდან. მსგავსად, განუსაზღვრელი ვადით, მომხმარებლისთვის უფლების ჩამორთმევა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია იმ საკითხების თაობაზე, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო ან/და თანამდებობის პირი საზოგადოებას აწვდის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, დამატებით კითხვებს აჩენს უფლების შეზღუდვის პროპორციულობის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებაზე, რომ რიგ შემთხვევაში, „ფეისბუქ“ გვერდზე კომენტარების დატოვება ხორციელდებოდა ე.წ. „ყალბი“ ანგარიშების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც ვერ ხერხდებოდა პიროვნებების იდენტიფიცირება. ამ კუთხით, საყურადღებოა ინტერნეტ მომხმარებლის ინტერესი ვინაობის დამალვასთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით, ანონიმურობა რეპრესალებისა და არასასურველი ყურადღების თავიდან აცილების საშუალებაა და როგორც ასეთი, იგი იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალ მოძრაობას უწყობს ხელს, განსაკუთრებით ინტერნეტ სივრცეში.⁶² შესაბამისად, მსგავსი ანგარიშით ოპერირება არ ამართლებს მომხმარებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

3. დასკვნა:

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისთვის შეიმუშაოთ სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური და საკანონმდებლო პრინციპების დაცვას სოციალური ქსელის მართვისას;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს მიმართოთ რეკომენდაციით, თავი შეიკავონ სოციალურ ქსელში მომხმარებელთა „დაბლოკვისგან“ მათ მიერ დაფიქსირებული კრიტიკული მოსაზრებების გამო, რაც დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და აღუდგინონ არამართლზომიერად „დაბლოკილ“ მომხმარებლებს შესაბამისი მერიის „ფეისბუქ“ გვერდზე ინტერაქციის შესაძლებლობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს მიმართოთ რეკომენდაციით, სოციალური ქსელის მომხმარებელთა გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვისას, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის №ბს-568(გ-19) განჩინება.

⁶² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Delfi AS v. Estonia*, პარ. 147.

მოახდინონ უფლებაში ჩარევის მართლზომიერების განმაპირობებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება/დოკუმენტირება.

გთხოვთ, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენი უწყების პოზიცია სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

